

ნ ი ა ნ ბ




№19. 1949 წ. თბილისი. გამოცემულია „კომუნისტი“ გამოცემის წელი XXVI. ფასი 2 კ.

კ ა კ ა რ გ უ ლ უ ი

ამერიკელ ომის გამჩაღებელთა ბანაკში და მათს დამჭაშვებში თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა საკლდის განმარტებამ იმის შესახებ, რომ 1947 წლიდან საბჭოთა კავშირისათვის ატომის იარაღის დაზღვევა საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს და რომ ატომს ჩვენში მშვიდობიან მშენებლობაზე იყენებენ.

ნახ. გ. იაშვილისა



მამლაყინწური ტრაბახით თავს აღარებდნენ გოლიათს,

სამარადისოდ მიაჩნდათ ატომის მონოპოლია!



მაგრამ წაუხდათ ოცნება, დღე გაუთენდათ შავთა.

როცა საკლდის ცნობის ხმა კიდით კიდემდე გავარდა.

აი აკაპაენი

ამერიკელი მეცნიერები კატეგორიულად ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ატომური იარაღის დამზადებას 1952 წელზე ადრე ვერ მიაღწევსო.

ნახ. გ. ლომიძისა



— პროფესორო! თქვენს მტკიცებით რუსებს 1952 წელში უნდა დაემზადებინათ ატომური იარაღი, — ნამდვილად კი მათ ეს 1947 წელში აუთვისებიათ.

— ჯენტლმენებო! მე მხედველობიდან გამომჩნია, რომ საბჭოთა კავშირში ჩვეულებად აქვთ მიღებული ხუთწლიანი გეგმის ვალზე ადრე შეხრულება!

დარაჯი კატა

(იზაზი)

პროდუქტების ერთ-ერთ საწყობს შეეჩვიე თაგუნები, უძღებნი და მსუნაგები წარმოშობით და ბუნებით. გამე მათთან საბრძოლველად მოემზადა და ერთ წყველიად ღამეს ერთი ზრელი კატა შიგ საწყობში დაამწყვდია. კატა ბნელში არ დაიბნა, მეგობრულად თავგებს უხმო და ისინიც მოცუტყულდნენ ფეხაკრფით, ფრთხილად, უხმოდ. და მან თავგებს ასე უთხრა: — თუ ვინდათ, რომ ვიყოთ ძმურად, ხელს არ გახლებთ, იცხოვრეთ და იმუშავეთ ძველებურად. მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ მეც მარგოთ ცოტა რამე... გარეთ წიღოთ სანოვავე, მე ვიძინო მთელი ღამე. თქვენც იცხოვრეთ, მეც მაცხოვრეთ, ნუ გეკნებათ ჩემი შიში, ოღონდ ზუსტად გამინადღეთ ჩვენი ძმობის ანგარიში! თავუნებსაც ეს უნდოდათ, ყოფილიყო კატა ჩუმად. სანოვავე გარეთ წიღეს ხან წვრილ-წვრილად, ხან ბითუმად. დარაჯ კატას გასამრჯელოს უწიდავდნენ სახლში ვიდრე, ხანამ კატას გაუგებდნენ და ციხისკენ გაგზავნიდნენ.

* * *
ზოგი ვინმე, როცა იმას მიანდობენ საქმის მოვლას, იმ კატის მსგავს საქმეს ხიადის, უმხგავსოს და მახინჯს ყოვლად. მოვლის ნაცვლად ანიაგებს და ებმება მახეშიო! სწორედ მსგავსი დარაჯები ჰყავს ამ არაკს სახეშიო.

ზ. გიორგაძე



სოფ. გაგოშენის (ახალქალაქის რ-ნი) მალინოვსკის სხ. კოლმეურნოვის თავმჯდომარის ალ. თაძთაძის

მოკითხვა და ნახვის ნატვრა, პატივცემული ალექსი. ამას წინათ გაგოშენს გახლდით. მითხრეს დიდი საქმე აქვს სარჩევი და ამოცანებში ისეა ჩაფლული, რომ არავის ღებულობსო. თქვენი კაბინეტის კარებთან ლოდინის დროს ყური მოგკარი თქვენს დიალოგს ბუხალტერ ნინო ფანჯავიძესთან.

გამაკვირვა თქვენმა გამჭრიახობამ: რთულ ამოცანებს სწვევტლით თქვენებურად, უბრალოდ, წინდახედულად და მოხერხებით. მაგრამ უფრო მეტად გამაკვირვა თქვენი ბუხალტერის მიახილობამ: მას თითქოს არ ესმოდა ეს უბრალოება და ძნელ საქმედ მიაჩნდა თქვენი დავალება, თავსაც კი იკატუნებდა, თითქოს თქვენის მითითებით პირველად აკეთებდა ისეთ საქმეებს, რაც კოლმეურნოების წესებს არ ეფარებდა და პირდაპირ არღვევს წესდებას.

მაგალითად, როცა თქვენ დაავალეთ: დღესვე შემიდგინე „სახოგადო კვებინათის“ პროდუქტების გაცემის უწყისებო, — მან მოურიდებლად გიბასუბათ: — მერე ვინ ჩავწერო ამ უწყისებში?

აი მიუხედავად ბუხალტერი: მაგას რაღა კითხვა უნდოდა? თქვენ ეუბნებოდით გარკვევით და ნათლად: აღნიშნე უწყისებში, თითქოს რაიონიდან ჩამოსული კომისიების (გთქვამთ, აღიგენის რაიონიდან ჩამოსული სტუმრების) პატივსაცემად დაიხარჯა კოლმეურნოების წევრებზე გასანაწილებელი პროდუქტები: ყველი, კვერცხები, თაფლი, ცხვრის ხორცი და სხვა.

თითქოს თავი გამოიღო ფანჯავიძემ და წაილულულა „ეს ხომ ყალბი უწყისი გამოვაო“, მაგრამ, როცა თქვენ შეახურეთ, უმაღლე იკადრა მიხედვით. შეადგინა უწყისები და თანაც ისე დამაჯერებლად შეადგინა, რომ თქვენი ქებაც კი დაიმსახურა.

მართლაც რომ ახირებულა. ეგ დალოცვილი რაღა მაგ დავალებას სთვლიდა და სიყალბედ, როცა სისტემატურად ადგენს ისეთ უწყისებს, რომლებიც სწორედ ასეთ სიყალბეზე ღლადებენ, აშკარად არღვევენ სას.-სამ. არტელის სანიმუშო წესდებას და აუფასურებენ წევრების შრომადღებებს.

განა იგივე ფანჯავიძე არ ადგენს ს. ნათენაძის უწყისს, რომელიც დანიშნული გყავთ მეორე მონაგარიშვად, რაშიც 25 შრომადღე ეწერება და ამავე დროს იგივე ნათენაძე საწყობის გამგედაც ითვლება და ამისათვის 22,5 შრომადღე ეწერება?

განა იმავე ფანჯავიძის მიერ შედგენილი არ არის ის ანგარიშები, რომელთა მიხედვით გამომუშავების ნორმების ზოგიერთ სახეებს კოლმეურნეთა საერთო კრებაზე არ იხილავთ და თქვენი შეხედულებებისამებრ განსაზღვრავთ? აი, მაგალითად, თავთავის აკრეფაზე თქვენი ხომ ყოველგვარი ანგარიშისა და აღრიცხვის გარეშე გამოუწერეთ — ვისაც რამდენი მოგებრიანათ? რაკი სიტყვამ მოიტანა, იმასაც გაგახსენებთ, რომ კოლმეურნოების სარევიზიო კომისიის, რომელსაც წესდებით საერთო კრება ირჩევს და რაილმასკომი ამტკიცებს, თქვენ შინაურულად ნიშნავთ და შინაურულადვე უთავსებთ თანამდებობას კომისიის წევრებს! განა კომისიის თავმჯდომარე ბ. ნათენაძე თქვენ არ დანიშნეთ გაგოშენის სას. საბჭოს მალაზიის გამგედ?

ფანჯავიძეს კი არ სურს გაიგოს, რომ აქ თქვენ ანგარიში გაქვთ: კომისიის თავმჯდომარეს მალაზია და საწყობი აბარია: თქვენ დაავალებთ — ის გააკეთებს და „გაკეთებულს“ თვითონვე გაუკეთებს რევიზიას. მაშასადამე, „შინაურულ“ მუშაობას შინაური რევიზორი ეყოლება და რაც მოხდება — ისიც „სუ“ და თქვენც „სუ“!

აი, ასევე შინაურულად აკეთებს თქვენი ბუხალტერი ნ. ფანჯავიძე (თქვენის დავალებით) იმ უწყისებს, რომლის მსგავსის შედგენას თქვენ ავალბდით ა/წ. 30 ივნისს, როცა მე გაგოშენს გახლდით და თქვენს დიალოგს შევესწარი.

საწყენად ნუ დაგარჩებათ, აშხანაგო ალექსი, ვიცით, თქვენ ამას სხვის გასაგონად და დღის სინათლეზე გამოსატანად არ აკეთებდით, მაგრამ ისიც კარგად დასამალად მთელი თქვენი საბუხალტერო დავთრებიც ზედ გადააფარათ.

ჩვენი სურვილი იქნებოდა მაგ დავთრებში გულდასმით ჩაეხედნა არა შინაურ, არამედ თქვენთან სტუმრად ჩამოსულ რევიზიას, (რომლის ვითომდა პატივსაცემად თქვენ „სახოგადო კვების“ უწყისები გააჭრელებინეთ თქვენს ბუხალტერს). ამის თქმა მინდოდა თქვენთვის გაგოშენში, მაგრამ რაკი ვერ გნახეთ — აქედან გითვლით მოკითხვასთან და ნახვის ნატვრასთან ერთად.

ნიკი

„სან-ფერნანდოს თხების მოყვარულთა კლუბში“ გაცხოველებული ფუსფუსი იგრძნობოდა. ამ საღამოს მორიგ პანაშვიდს უხდიდნენ სან-ფერნანდოს ველზე ატომური ბომბის გამოცდის დროს დაღუპულ წვერცანცარებს.

განსაკუთრებული შეჯიბრება წარმოებდა ცრემლის მოყვანაზე, რადგან მალე კლუბის ახალი გამგეობის არჩევა იყო მოსალოდნელი და ყველაზე დიდ კურცხალს შეიძლებოდა წარუშლელი ავტორიტეტი შეეძინა კლუბის რომელიმე წევრისათვის.

კლუბის ერთმა წევრმა ქვითინით განაცხადა:

უკუღაბათის სინილისი

ჩერჩილმა 25 გირვანჯა სტერლინგი შესწირა ჰიტლერულ სამხედრო დამანაშავე მანშტეინის განთავისუფლების ფონდისათვის.

ნახ. ი. ქოქიაშვილისა



— მამა, სინილისი ხომ არ გაწუხებს, რომ სამხედრო დამანაშავის სახარებად ფული შესწირე?
— როგორ არა, შვილო, ვფიქრობ, რომ სტერლინგის დეგალვაციის შემდეგ ეს მართლაც მცირე შეწირულებაა!

— ბატონებო, სიწყნარეს მოვითხოვ, ბატონებო! დღეს ჩვენ მორიგ პანაშვიდს ვუხდით ჟმწყო პირუტყვებს, რომლებიც ტრანგიკულად, სრულიად უდანაშაულოდ გახდნენ მსხვერპლნი ატომური ცდისა, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ თავისი გამაყრუებელი გრიალით დაფარა სან-ფერნანდოს ველი!

კლუბის კედლებში მწყობრი ქვითინი გაისმა და ცხვირსახოცთა შრიალმა კინაღამ ქარი ააყენა.

საღეჭი რეზინით მოვაპრე ტომასი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ამ კლუბის წევრთა შორის, ნიკაპზე წებოთი მიმაგრებულ თხის წვერებს განსვენებულ სან ფერნანდოელ თხების პატივსაცემად რიტმიულად აცანცარებდა. აცანცარებდა და სწორედ იმ ძია სემს ჰგავდა, კარიკატურისტები რომ ჰხატავენ ხოლმე.

ერთი სიტყვით, კლუბის მარაქა დიდ გართობაში იყო და დიდ საქმესაც აკეთებდა. ხუმრობა ხომ არ არის, იმ ქვეყანაში, სადაც ზანგების ჩაქოლვა წყვილი ერთ შაურად ფასობს, დაღუპულ თხებს პანაშვიდს უხდიდე და ცრემლების დაღვრასაც კი ახერხებდე!

თხაწვერამ განაცხადა:

— ბატონებო, ყურადღება, ბატონებო, ჩვენი კლუბის წევრებს, ყველაზე გულჩვილ მოქალაქეებს მთელს ამერიკაში...

— მთელს მსოფლიოში!...—სტეპორცნა რეპლიკა მოპირდაპირე სკამზე დასვენებულმა.

— დიახ, თუ გნებავთ მთელს მსოფლიოშიც... ბატონებო, ახალი სატირალი გაუჩნდათ. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენმა მთავრობამ, გუშინ, ახალი, არასასიამოვნო განცხადება გააკეთა: საბჭოთა ქვეყანაში ადგილი ჰქონია ატომურ აფეთქებას. რა გარანტია გვაქვს, ბატონებო, რომ იქაც, ატომური ბომბის აფეთქების დროს რამდენიმე საცოდავი თხა არ დაიღუპებოდა!

ქვითქვითმა და სლოკინმა კლუბი გააყრუა.

— დამშვიდდით, ბატონებო, ასე უსაფუძვლოდ რატომ ჰყვებით გრძნობებს. რა გარანტია გვაქვს, რომ თხები უსათუოდ დაიღუპებოდნენ!—დამამშვიდებლად გაისმა დარბაზში კლუბის მეორე წევრის რეპლიკა.

— გაუმარჯოს სპირიტისმს!—დაიძახა ვილაცამ.

და კლუბის წევრებში უსიტყვო ჩოჩქოლი ატყდა. ყველაზე უფრო აქტიურებმა ლამბაქები მოარბენინეს, საჭირო წრეები დახაზეს ქალაღებზე და სპირიტისმის სეანსი დაიწყა.

სან-ფერნანდოს ველზე დაღუპულ ყველაზე ლამაზ თხას დიკს გამოუძახეს:

— დიკ! დიკ! მოწიწებით ვინდით ბოდის შენი ჟმანკო სულისათვის მოტირალნი და მოგმართავთ თხოვნით: დაიღუპა თუ არა თხები ატომური ბომბის აფეთქების დროს საბჭოთა კავშირში?

ლამბაქი ადგილიდან არ იძვროდა.

— დიკ! დიკ! დიდ ბოდის ვინდით, ვთხოვთ გვიპასუხოთ, დაიღუპა თუ არა?

სიჩუმე ახალშემოსულმა დაარღვია:

— დაიღუპა, ბატონებო!

— ჩვენი კლუბის ობიექტი?—ზღუქუნით ჰკითხა თხის სულის გამომძახებელმა.

— არა, ბატონებო, ჩვენი კლუბისა!

— თქვენ რომელი კლუბიდან ბრძანდებით?—ერთხმად ჰკითხეს ახალმოსულს.


მან ისტერიულად წამოიზღუქუნა:

— ოპტიმისტთა კლუბიდან გახლავართ!

გ. ივანიშვილი

ნახ. ა. ბანძელაძისა

ლამაზია მისი გზები,
 მისი მოსახლეობა.
 კარგი არის, მომხიბვლელი
 აჭარისწყლის ხეობა.
 ამშვენებენ, ალაღებენ
 მას მთები ახოვანი.
 ეს ხეობა იყო, თურმე,
 ერთ დროს ვენახოვანი.
 ძველად, აქაც შემოდგომის
 ოქროს კარებს ალბდნენ.
 აქაც ღვინოს სწურავდნენ და
 აქაც რთველს აჩაღებდნენ.
 არ აკრთობდათ შემდეგ ზამთრის
 თოვლი და ნამქერები,
 რადგან ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს
 ღვინით სავსე ქვევრები.
 ბევრი სუფრა ჰქონდათ, თურმე,
 წითელ ღვინით ნაპკური;
 ჰქონდათ, თურმე, ბევრი ღვინი,
 ღვინი მამა-პაპური.
 მაგრამ, შემდეგ მოსაპეს იგი
 უღმობელ მტრის ხელგამა,
 ასჭრეს ვაზი და აკაფეს
 თურქმა დამპყრობელებმა.
 მის სიკარგეს, მის სიკეთეს
 არა, არ მოერიდნენ.
 და სათუთ ვაზს, ისე როგორც
 მოსისხლე მტერს, დევნიდნენ.
 სჩებდნენ, სჭრიდნენ,—აოცებდათ,
 მაინც არ იღვრდა.
 ნასაყდრალში, ტყეში, ხეზე
 ვაზი იმალებოდა.
 ის ხარობდა ჩუმად ტყეში,
 ლამაზ ამბავს ყვებოდა.
 სამასი წლის დევნილს მაინც
 გული არ უტყდებოდა.
 ვაზო, ვაზო, ტკბილო დაო,
 დევნილო და ტანჯულო.
 კვლავ გამხდარხარ პირმცინარე
 შენ, ყურძენო კლარჯულო.
 ისევ გაგინათებია
 ვაზო, სახე ნათელო;
 აჭარაში კვლავ გალადებს
 საბჭოთა საქართველო.
 ბაღებში კვლავ შემოსულხარ
 ლალი და ახოვანი,
 ისევ გაზდნენ აჭარისწყლის
 მთები ვენახოვანი.
 შენს ზერებს ისევ ნამავს წვიმა
 და მზეში იჭორფლები.
 კვლავ გეტრფიან ძველი ხულოს,
 ძველი ქედას სოფლები.



ავადყოვი ბიუროკრატი—თავს იგდებს ეს ექიმი, ამდენი დრო სადა მაქვს, რომ დღეში ორჯერ მივიღო!

მატებ იმთ ლამაზ დღეებს
 სიკეთეს და მხნეობას,
 კვლავ ალაღებ, კვლავ ამშვენებ
 აჭარისწყლის ხეობას.
 მამა-პაპათ ჭური, ქვევრი
 ბევრი გადარჩენილა.
 სამასი წლის წინათ ჩაფლეს,
 ახლა გამოჩენილან.
 შენარიან ძველთაძველ ქვევრს
 ამაყსა და გოლიათს.
 აქ, თურქული წეს-ადათი
 მოსაპეს, ჩაუქოლიათ.
 ახლა, ყველგან, აჭარაში
 ვენახებს ამშვენებენ.
 ახლა, ყველგან, ღვინს, ქორწილებს
 ღვინით დაამშვენებენ.
 დაჩაგრული ვაზი გაზდა
 კვლავ ამაყი, თავნება.
 ისევ იქცა დიდ ზემად
 რთველის შემობრძანება.
 კვლავ ატარებს აჭარელი
 გიდეფს ამაყ მხრებითა.
 ისევ დგება შემოდგომა
 ოქროს. ჩარდახებითა.
 ყურძენს კრეფენ პატარაძალთა
 თეთრი, სწრაფი ხელები;
 ისევ იქცენ ჩანჩქერების
 დედათ საწინახელები.
 ვაზო, ისევ შემოსულხარ
 ლალი და ახოვანი.
 ისევ გაზდნენ აჭარისწყლის
 მთები ვენახოვანი.
 ქვევრი ღვინით ავიგსია
 შენ, ვაზო ძველის-ძველო.
 სვამენ გმირნი მოწიწებით
 ბელადის სადღერძელოს.
გ. თოგაშვითელი

„თავისუფალ“ თუჩაქათში



— ხომ არ ინებებთ მისტერ, დაგვიმტკიცოთ მთავრობის ახალი კაბინეტი? (ფურნ. „სტრუელი“ (ბულგარეთი))

მძივა ქური—მსაუბე თავზე

თურქეთის ძვირად უჯდება შვერო. შტატების მიერ მოწოდებული შეიარაღება.

ნახ. ვლ. გალბასი



ამერიკული ფასონის ახალი თურქული ქუდეები. („ლენინგრადასკია პრავდა“)

ნავაშისწამი

— როდის მთავრდებათ ქრისტიანული ჩვენი მატარებლის ვაგონებში მშრალად იმგზავროს კაცმა?—იკითხა ფოთი-ბათუმის მატარებლის თავით-ფეხებამდე დასველებულმა უფროსმა მ. მანჯგალაძემ, რომელიც თავის სამგზავრო შემაღვლობაში დაზიანებული სასურავებიდან ჩამომდინარე წვიმას ვერსად გაქცეოდა და მისსავსე ბედში მყოფ მგზავრებთან საუბრით იბრუნებდა შეწუხებულ გულს.

— აი მოხსნიან ამ მატარებლის იმ ვიდეც უხეირო უფროსს მანჯგალაძეს და ყველაფერი, ალბათ, მაშინ რიგზე დადგება,—ანუგეშებს ქოლგაგადაფარებული ბირებმა, რომლებმაც იგი ვერ იცნეს.

„მესკოში“ თუ პედიკოში?

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სატრანსპორტო-საექსპლოატაციო კანტორის ერთ ოთახს, სადაც ადგილკომია მოთავსებული, ასეთი წარწერა აქვს: ტუკ-ის მ ე ს ტ კ ი მ ი.

— ადგილკომის თავმჯდომარე თქვენა ხართ?—პკითხა თბილისის სატრანსპორტო-საექსპლოატაციო კანტორაში ფართო მაგიდასთან მიმჯდარ, ქალაღებში თავჩარგულ მუშაკს ამიერკავკასიის რკინიგზის პროფკავშირის თბილისის რაიკომის ინსტრუქტორმა.

— ადგილკომის? ა... რა, მე მესტკომის თავმჯდომარე ვახლავართ.— იყო მასხუბი.

პედიკოში

— როგორ მოხდა, რომ დღემდე ვერ მიხედეთ ამ ქურჩას?—პკითხეს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს კომუნალური განყოფილების გამგეს, როდესაც მათ უცხო ენების ინსტიტუტის წინ, ფალიაშვილის ქუჩაზე, ღრმა ტალახში ჩაუვარდათ ავტომანქანა.

— როგორ უნდა მივხედო, როცა ახლოს ვერ ვეკარები, წელიწადში ერთხელაც კი ვერ გამივილია ამ ქურჩაზე ტალახში და წყალში ჩახრჩობის შიშით,—მიუგო გამგემ.

ი. დავითაშვილი



ზოგ რაიონში უყურადღებოდ არის მიტოვებული პირუტყვის საზამთრო ბინების მშენებლობა.

ნახ. ღონისა



— დამშვიდებით ელოდეთ ზამთარს, ბიჭებო, აქედანვე ვატყობ, რომ წელს ზამთრისათვის არავითარი მარაგის შენახვა არ დაგეგვირდება!

ძია ნიანგო!

თბილისის ზოგიერთ რაიონში წყლის მიწოდების საქმე მოუწესრიგებელია.

ზესტაფონში გვაქვს „საქწიგნის“ ერთი მალაზია, რომლის გამგე შალვა ნინიკაშვილი იმდენად ზრუნავს ჩვენს სწავლ-განათლებლაზე, რომ როცა 1 კლასის სახელმძღვანელოებს ვყიდულობდი, დამატებით გამომატანა:

1948 წლის საბავშვო კალენდარი (მადლობა მის გამომცემელს, კარგა მოზრდილი ფორმატისა და უფრო მოზრდილი ფასისათვის), ქართულ-ფრანგული ლექსიკონი და სახალისო ალგებრა, ამას გარდა წიქვილში მინდის გამოსაწერი ქვითრები.

არ მინდოდა ამ „დამატებების“ წამოღება, მაგრამ არაფრით არ ჰქნა ნინიკაშვილმა: „მე ჩემი გეგმები მაქვს...“ შეიძლება უცოდინარობით მომდის, რომ არა ვიცი რა მისი გეგმებისა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ თუ ასე გაგრძელდა ჩემი საშუალო სკოლის დამთავრებამდე, ალბათ, მინდის გამოსაწერი ქვითრებით აივსება ჩვენი ბიბლიოთეკები.

ჩვენი ამხანაგებიც ასევე „დაუგეგმია“ ნინიკაშვილს, მაგრამ მათი წიგნები სულ სხვა ხასიათისაა: მაგალითად, ზოგი წიგნი გამოჩენილი გეოგრაფების მოგზაურობას ეხება და ზოგიც... „ასანთების თავსატეხებს“.

კარგი იქნება, ძია ნიანგო, რომ ნინიკაშვილს ურჩევდე, თავი დაანებოს ჩვენი „თავის ტეხვას“ და იძულებითი ასორტიმენტისაგან გაგვათავისუფლოს.

ხამი მოწაფე

ჰვირუასო ნიანგო!

ქარელის რაიონში შედის სოფელი რუისი, სოფელ რუისში ხუთი კოლმეურნეობა გვაქვს, ხუთივე კოლმეურნეობის გამგებლობაში შედის ამ სოფლის კლუბი, ხოლო კლუბში... არავინ შედის.

- რატომაც?—იკითხავ ძვირფასო ნიანგო.
- იმიტომ, რომ თუ კარგი ამინდია—კლუბის ეზო-აივანზედაც კარგად ერთობიან აქაურები, ხოლო თუ წვიმა მოდის—კლუბში უფრო მეტად ვსველდებით, ვიდრე გარედ.
- ამას წინათ, რუისში მსახიობთა ბრიგადა ჩამოვიდა. ძალიან გაგვხარდა რუისელებს—გვეგონა წარმოდგენას დავესწრებოდით, მაგრამ ნახე ჩვენი ილბალი: წვიმა წამოვიდა. მსახიობებმა აიკრიფეს გულა-ნაბადი და უკანვე გაეშურნენ.
- თუ წარმოდგენა გინდათ—კლუბის სახურავი შეაკეთეთო.

ეს სიტყვებიც ჩვენი კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა ერთ ყურში შეუშვეს და მეორეში გაუშვეს. ჩვენ კი აბა რა სახურავის შეკეთება შეგვიძლიან? ჩვენი თხოვნა გვიშუამდგომლო მსახიობთა ბრიგადებთან—რუისში იმ შემთხვევაში გვეწვიონ, როცა ამინდის ბიუროს ნამდვილი ცნობა ექნებათ, რომ განხრახული წარმოდგენის გამართვის დღეს წვიმა არ მოვა.

ტარიელ სათაშვილი



წყლის ზიდვა წყალსაზიდის ქუჩაზე.

სარედაქციო კოლმეგია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ღენინის ქ. № 14. ტელ: 3-10-49

ნელმოწ. დასაბ. 1949 წ. 14/X. ტექსტი აწვებილია ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შვკ. № 1248. ღენინის ქ. № 14. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე, შვკ. № 2128. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 105. ტირ. 11000. უფ 04409.

ანგლო-საქსური მეგობრობა



საქრებულო

საბჭოთაო

ამერიკული დოლარის მოჩვენებითი დაზარების იმედით, ინგლისის ლეიბორისტული მთავრობა დათანხმდა სტერლინგის დევალუაციას. სინამდვილეში ეს ნიშნავს ამერიკის მიერ ინგლისის აშკარა გაძარცვას.

ნახ. ი. გუროვი



ამ მოჩვენებამ ჯონ-ბულსა
იხე მოხტაცა გონება,
რომ ვერ გრძნობს—როგორ პისტაცეს
პას საკუთარი ქონება.